



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 5 ივლისი, 2016 წელი

დრო: 15:45 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „Art Boutique Hotel“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია, „საქართველოს ჩაი“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
4. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
5. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
6. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰუმანიტარული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
7. ირაკლი ქასრაშვილი - "მერსი ქორფს" - ის წარმომადგენლობა საქართველოში
8. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია საზოგადოება განვითარებისთვის
9. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
10. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
11. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
12. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
13. ირინა გურული - ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
14. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ”საქართველოს ანტიკრიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამა“ - თამაზ ვაშაკიძე;
- სამეცნიერო ინსტიტუტების რეორგანიზაციის პრობლემები - ოლეგ შატერაშვილი, თამაზ ვაშაკიძე;
- EU-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის პირველი შეხვედრის შედეგები - კახა გოგოლაშვილი
- ჰორიზონტი 2020 - თან ასოციირების შემდგომ საქართველოში არსებული გარემო - გივი ქოჩორაძე
- სხვა საკითხები.

შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი. პირველ საკითხად ჯგუფმა მოისმინა ბატონი გივი ქოჩორაძის მოხსენება ჰორიზონტი 2020 - თან ასოციირების შემდგომ საქართველოში არსებული გარემოს შესახებ. როგორც ბატონმა გივიმ აღნიშნა, ამ ხელშეკრულების შემდგომ გაიხსნა უამრავი შესაძლებლობა, საქართველო ჩაერთოს სხვადასხვა სახის პროექტში. მან ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ გახდნენ კორსოციუმის კოორდინატორი. თავის მხრივ, კონსორციუმში სხვადასხვა ქვეყნის როგორც სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საწარმოებისგან დაკომპლექტებული ქსელია.

მიუხედავად იმისა, რომ კონსორციუმში მონაწილეობისთვის დაწესებულია გადასახადი, აღნიშნული ფაქტორი არ გახლავთ დაბრკოლება ორგანიზაციებისთვის, რამდენადაც საქართველოს მთავრობა და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ერთობლივად გადაიხდიან აღნიშნულ თანხას. გარდა ამისა, რადგანაც თანხა ბიუჯეტიდან გადაიხდება, მთავრობა დაინტერესებულია ქვეყანამაც მიიღოს სარგებელი და მაქსიმალურად მეტი ორგანიზაცია ჩაერთოს საქართველოდან.

თუმცა სტატისტიკა არც თუ საიმედოა და საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების ძალიან მწირ ჩართულობაზე მიუთითებს. ბატონი გივის მოსაზრებით, აღნიშნული გრანტები, რომლებიც ძირითადად ტექნოლოგიური ხასიათისაა, საინტერესოა როგორც პლატფორმის წევრი, ასევე არაწევრი ბევრი ორგანიზაციისთვის, ხოლო დეტალური ინფორმაცია საკითხის შესახებ, მხოლოდ რამდენიმე მათგანისთვის გახლავთ ცნობილი.

ბატონმა გივიმ გამოთქვა სურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შეიქმნას სპეციალური ოფისი, რომელიც მაქსიმალურად დეტალიზებულ ინფორმაციას მიაწვდის დაინტერესებულ

პირებს და თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოანწილეობისა და ჩართულობის გაზრდასა და სტიმულირებას.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლია თოდუამ ბატონ გივის შესთავაზა მოამზადოს მიმართვის ტექსტი და გავრცელდეს პლატფორმაში, რაც ერთის მხრივ, პლატფორმის წევრებს შორის ინფორმაციის მიღებასა და მოსაზრების გაცვლას შეუწყობს ხელს და მეორეს მხრივ, პლატფორმის სახელით გაეგზავნება მიმართვა სამინისტროს.

საკითხთან დაკავშირებით პლატფორმის თავმჯდომარემ წარადგინა წინადადება, „კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრის“ მიერ შექმნილი საინფორმაციო ვებ გვერდი, მიემაროს პლატფორმის ვებგვერდს, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის მეტად გავრცელებას.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა მოისმინა ბატონი თამაზ ვაშაკიძის მოხსენება „საქართველოს ანტიკორიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამის“ შესახებ¹, რომელიც შეიმუშავა საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციამ.

ბატონმა თამაზმა მიმოიხილა „საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დაზარალებულ მეანაბრეთა ზარალის აღიარებას შიდა სახელმწიფო ვალად (რაც ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია) და ამ ვალის ანგარიშში დაზარალებული მეანაბრეებისათვის გაყიდვა-გასხვისების უფლებით საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქების გადაცემა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად (გარდა საშემოსავლო გადასახადისა) - პირველ ეტაპზე (3 წლის განმავლობაში) მხოლოდ ახლადგახსნილი სამრეწველო საწარმოებისათვის, შემდგომ ეტაპზე კი ნებისმიერი საწარმოსთვის. ეს პროგრამა ერთის მხრივ იძლევა საშუალებას ნაწილობრივ ანაზღაურდეს მეანაბრეებისთვის სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზარალი, მეორეს მხრივ კი ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში.

ბატონი თამაზის მოსაზრებით, თუ სახელმწიფო დაზარალებულ მეანაბრეებს გადასცემს ვაუჩერებს და მისი გამოყენება მხოლოდ ახლად გახსნილი სამრეწველო საწარმოების ფუნქციონირების დროს საგადასახადო დავალიანებების დასაფარავად იქნება შესაძლებელი, მოქალაქეებს ერთგავრი სტიმული ექნებათ მეწარმეობის დასაწყებად. პრეზენტატორმა ასევე ყურადღება გაამახვილა ხარჯების სიმცირეზე, რისი გაღებაც ამ დროს სახელმწიფოს მოუწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის მიერ მომზადებული პროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს, რომელმაც თავის მხრივ განსახილველად გადასცა ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, პროცესი ჯერ კიდევ ჭიანურდება.

ქალბატონმა ლია თოდუამ ბატონ თამაზს შესთავაზა ჯგუფმა სამინისტროების წარმომადგენლები მოიწვიოს და ერთად განიხილონ აღნიშნული საკითხი. ქალბატონმა ნინო ელიზბარაშვილმა, თავის მხრივ წარადგინა წინადადება, რამდენადაც პარლამენტში იყო

¹ სამდივნოს შენიშვნა: ოქმს დანართის სახით თან ერთვის აღნიშნული პროგრამა-კონცეფცია.

წარდგენილი დოკუმენტი და პარლამენტმა გადაუნაწილა სამინისტროებს, საქართველოს ეროვნული პლატფორმისთვის პარლამენტის შენობაში გამოყოფილ ოთახში გაიმართოს შეხვედრა პარლამენტში საკითხის შესახებ პასუხისმგებელ ჯგუფთან. ბატონი თამაზი დაეთანხმა წინადადებას და გამოთქვა აზრი პარლამენტმა მოიწვიოს სამინისტროს წარმომადგენლები.

პლატფორმის თავმჯდომარემ, პროექტის ავტორებს შესთავაზა, გააძლიერონ კომუნიკაცია მეანაზრეთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან და მათი მომართვის საფუძველზე, რომელსაც თავის მხრივ დაერთვება მოქალაქეთა ხელმოწერები, პლატფორმამ წარადგინოს პროექტი სამინისტროებთან. ბატონი კახას მოსაზრებით, პრობლემის მასშტაბურობა და აქტუალობა ამ მხრივ იქნება უზრუნველყოფილი.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე პლატფორმის თავმჯდომარემ ბატონმა კახა გოგოლაშვილმა ჯგუფის წევრებს გააცნო ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის პირველი შეხვედრის შედეგები. პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა პლატფორმის სტრუქტურაზე, ფუნქციონირების პროცედურულ წესებსა და პლატფორმის მიერ შემუშავებულ ერთობლივ განცხადებაზე.²

შემდეგ საკითხად ჯგუფის წევრებმა მოისმინეს ბატონი თამაზ ვაშაკიძისა და ბატონი ოლეგ შატბერაშვილის ინფორმაცია განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი კვლევითი ინსტიტუტების ატესტაციის შესახებ, რის თაობაზე ჯგუფის წინა სხდომაზეც იყო მსჯელობა, როგორც მოსალოდნელ მოვლენაზე. მომხსენებლებმა ასევე ისაუბრეს კოალიცია "ინოვაციური საქართველოს" მიერ ატესტაციის მეთოდოლოგიის თაობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების არსის შესახებ. საგულისხმოა, რომ ჯგუფის წევრებმა გაიზიარეს კოალიცია "ინოვაციური საქართველოს" მიერ ატესტაციის მეთოდოლოგიის თაობაზე გამოთქმული შემოთავაზება და კოალიციაში შემავალ ჯგუფის სხვა წევრ ორგანიზაციებს მოუწოდეს ყურადღებით ადევნონ თვალყური მიმდინარე მოვლენებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადონ ჯგუფისა და მთლიანად აღმოსავლეთის პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიმართვა კვლევითი სისტემის მიმართ ახლო წარსულში უკვე დაშვებული შეცდომების შემდგომი დამძიმების დაუშვებლობის შესახებ.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

² ერთობლივი განცხადება შეგიძლიათ იხილოთ სამდივნოს მიერ ა.წ 6 ივლისს Google ჯგუფში გავრცელებულ წერილის დანართში, სათაურით .. Joint Statement”.